

მეტად აქტუალური თემა: „ეკოლოგია და ბავშვები“

აყვარებენ გუნებას, ახსვლიან მარჯოს დაცვას



კოლ ხარტლესის და იოსებ ნონაშვილის ვიზიტი ჩხოროწყუს პირველ საჯარო სკოლაში

ახალგაზრდობის სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა მათი ზნეობრივი აღზრდა. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეების ეკოლოგიურ აღზრდას. ამ პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა საშუალება არსებობს.


აღსანიშნავია, რომ საქართველოში საინტერესო პროექტს ახორციელებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი (დირექტორი, პროფესორი შალვა სინარულიძე) და დიდი ბრიტანეთის ჩაგფორდის ბოტანიკური ბაღი (დირექტორი, პროფესორი პოლ ბარტლეთი). პროექტი ეხება ბიომრავალფეროვნების შესწავლას, ენდემური მცენარეების შესწავლის და გადარჩენის საკითხს.

საგულისხმოა, რომ პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქართველოს ერთ-ერთი ენდემური მცენარის – მეგრული არყის ხის შესწავლა, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში, კირქვიან ნიადაგებზე.

პროექტის მნიშვნელობა და უნიკალურობა იმაშია, რომ მის განხორციელებაში ჩართულნი არიან მოსწავლეები. ასევე, პროექტის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ ქართული მხრიდან ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი ბატონი შალვა სინარულიძე და ბოტანიკის ინსტიტუტის მრჩეველი ბატონი დავით ქიქოძე.

პროექტის განხორციელების ფარგ-

ლებში ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელია მკვლევარი არსენ ბახია. 2016-2017 სასწავლო წელს ჩხოროწყუს რამინ დინამიჯიას სახელობის პირველ



ბრიტანელი სტუმარი სკოლის მუშაკებთან

საჯარო სკოლაში მე-8 და მე-11 კლასის მოსწავლეებთან ტარდებოდა შეხვედრები,

რომლებზეც ბატონ არსენ ბახიამ მოსწავლეებს გააცნო ბიომრავალფეროვნების ძირითადი მიზნები, ამოცანები და პირობები. ვიზიტების დროს, საუბარი ეხებოდა აგრეთვე მათი რეგიონის ენდემურ მცენარეს მეგრულ არყს. მოსწავლეებთან ერთად შეიქმნა რამდენიმე საინტერესო პრეზენტაცია.

უცხოელი მეცნიერი პოლ ბარტლეთი, მთელი წლის განმავლობაში ჩართული იყო პროექტის განხორციელებაში, იგი არაერთხელ სკაიპით ესაუბრა მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს არსენ ბახიას ვიზიტის დროს.

2016-2017 სასწავლო წლის ბოლოს ჩხოროწყუს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ თბილისში, სადაც შედგა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა ბოტანიკის ინსტიტუტში. შეხვედრაზე მოსწავლეთათვის საინტერესო საკითხებს უპასუხეს ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა შალვა სინარულიძემ და ინსტიტუტის მრჩეველმა ბატონმა დავით ქიქოძემ. შემდეგ მოსწავლეები გაეცნენ თბილისის

ღირსშესანიშნაობებს.

აღსანიშნავია, რომ 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში პროექტი საინტერესოდ მიმდინარეობდა. მისი შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწყდა მისი გაგრძელება მიმდინარე სასწავლო წელსაც. პროექტის განხორციელების ფარგლებში გრძელდება ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის არსენ ბახიას ვიზიტები სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ გრძელდება ურთიერთობა ჩხოროწყუს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან.

პროექტის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ვიზიტით ჩამობრძანდნენ დიდი ბრიტანეთის ჩაგფორდის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, პროფესორი პოლ ბარტლეთი და მსოფლიო ბოტანიკური ბაღების ასოციაციის ერთ-

გაგრძელება მე-2 გვ.

შენვერდა სკოლის მოსწავლეებთან



ილიას ქაქჩაყაძე – 180



საქართველოს უგვირგვინო შიშვე

მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა! მე ვარ შენი თანამდეგი, უკვდავი სული, შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გაზრდილანა, ამ გულში მე მატყვს შენი აწმყო, შენი წარსული.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეცვივსა; ღმერთთან მისთვის ვლამბარაკობ, რომ წაზრფოდდე წინა ერსა. დიდის ღმერთის საკურთხეველის მისთვის დღევის ცუცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სინარულიში; ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული... მამის ცილამ ნაბეჭქვალი თუ აღმიფეთქს გულში ცუცხლსა, მამის ვიმდებ, მხოლოდ მამის მთესწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები; მამულთ საყვარელთ, შენ რისდა აყვავდები?

დედავ! ისინე ქართველის ვედრება: ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰჩჩეს კვალი განათლებული.

პირველი გვირგვინი

ერთი ხელმძღვანელი ბატონი იოაჰიმ გრაცველი. უცხოელი მეცნიერები არსენ ბახიასთან ერთად გაემგზავრნენ სამეგრელოს რეგიონში, სადაც შეისწავლეს მეგრული არყის გავრცელების არეალი და პირობები.

აქვე უნდა ითქვას, რომ საინტერესო შეხვედრა შედგა პროექტში ჩართულ ჩხორონყუს, რამინ დიხამინჯიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და თანამშრომლებთან. ვიზიტისას სკოლის ეზოში დარგეს მეგრული არყის ნერგები.

შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები: ნაზიროლა ლავილავა, კოტე ნაჭყებია, ეკატერინე ჭითანავა, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მაია სიჭინავა, სკოლის დირექტორი მანანა ჩიქოვანი.

აღნიშნულ შეხვედრაში, აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეები: თათული ზედანია (მე-9 კლ), თამარ გობეჩია (მე-9 კლ), გიორგი ფირცხელავა (მე-9 კლ), დიონისე ესართია (მე-9 კლ), კობა გაგუა (მე-9 კლ), პაპუნა არახაშია (მე-12 კლ), მარიამ ნადარაია (მე-12 კლ), მარიამ დარსალია (მე-12 კლ).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთათვის საინტერესო და საქართველოს ბუნებისათვის საჭირო პროექტი გრძელდება. პროექტის ინიციატორებს დიდი სურვილი აქვთ პროექტში ჩართონ სხვა რეგიონების მოსწავლეებიც, რომლებიც გაეცნობიან მათი რეგიონისთვის დამახასიათებელ ენდემურ




ჩხორონყუსთან ექსკურსია თბილისის ბოტანიკურ ბაღში

მცენარეებს, მათი გადარჩენის გზებს, ეკოლოგიურ პრობლემებს და რაც მთავარია, ჩამოუყალიბდებოდათ სამშობლოს, მისი ბუნების სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა მომავლის წინაშე. რაც უფრო მეტი მოსწავლე ჩაერთვება საქართველოს მასშტაბით, მითუ-

ფრო ჯანსაღი გარემო გვექნება. ჩხორონყუს პირველი საჯარო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა დაინტერესება-საქმიანობა მისაბაძია და ფართოდ უნდა გავრცელდეს!

ანანო საგელია



არსენ ბახიას გაკვეთილი

სეროდენებს ახალი ღირებულება უყავთ

ამ ყველაფერი საუკეთესოა

208-ე ბაგა-ბაღი თბილისში, პატარა დილოში, გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე მდებარეობს. ბაღში ცეროდენების აღზრდა-განათლებისთვის, მშვენიერი პირობებია შექმნილი.

ცუგრუმელების ზღაპრულ სამყაროს სათავეში უდგას ენერგიული მენეჯერი ნანა არჩვაძე, რომელიც რამდენიმე თვეა დირექტორად დაინიშნა და წარმატებით იღწვის ამ დანერგვების გაბრწყინებისათვის. საოცრად უყვარს ნანას პატარები და სათანადოდ აფასებს თითოეულ თანამშრომელს. ქალბატონი ნანა გამოცდილი ხელმძღვანელია, დიდი ხანია სკოლაშდელი აღზრდის სისტემაში მუშაობს. აქ მოსვლამდე 171-ე ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილედ მოღვაწეობდა.

208-ე ბაგა-ბაღი არაფრით არ ჩამორჩება სხვა საბავშვო დაწესებულებებს. აქ პატარებისთვის მყუდრო და ოჯახური ატმოსფეროა შექმნილი. ეზო გამწვანებულია და მონესრიგებული. შენობა

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბაღის ეზოში თანამედროვე ატრაქციონების დამონტაჟება და

დამოკიდებულება აქვთ. ცეროდენების ამ სამყაროში ხშირად იმართება ღია მეცადინეობები, სეზონური ზეიმები.



შენობის გარე ფასადის მონესრიგება.

ასე რომ, 208-ე ბაგა-ბაღში ცეროდენები თავს უფრო კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობენ. აქ მოსვლის მსურველთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა. ამჟამად, 6 ჯგუფია 206 ბავშვით. 7 განსაკუთრებული საჭიროების

ნებობი, სეზონური ზეიმები. სულ ახლახან კი, „შემოდგომის პრეზენტაცია“ გაიმართა. პატარებმა მონაწილეობა მიიღეს ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ „თბილისის ფესტივალზე“, რომელიც ცნობილ „ბუკიას“ ბაღში გაიმართა.

დირექტორის თქმით, ბაღს აქტიურად მხარში უდგას და ეხმარება თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი თემურ თორდინავა. ასევე, დირექტორი და ყველა აღმზრდელი მადლიერებას გამოხატავენ დღევანდელი ხელისუფლების, „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მიმართ.

ქალბატონი ნანა არჩვაძე და ბაღის თითოეული თანამშრომელი ძალღონეს არ დაიშურებენ იმისთვის, რომ ბაგა-ბაღი იყოს მონოდების სიმალღეზე აღმზრდელების საქმიანობით კმაყოფილი არიან მშობლები და მთლიანად უზანი. ეს უკვე თავისთავად მეტყველებს ცუგრუმელების ამ სამყაროს პოპულარობაზე. სულ მალე გაბრწყინებას ვუსურვებთ.

მზია გომოძე



კი, გარემონტებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სანოლებით, სათამაშოებით და შემეცნებითი ლიტერატურით. ცეროდენებს უჭარბებით სხვადასხვა აქტივობები და თემატური გაკვეთილები. ბაღი ჩართულია სასკოლო მზაობის პროგრამაში.

მქონე აღსაზრდელია, რომლებიც სპეციალურ მეთვალყურეობას მოითხოვენ. ბაღს სჭირდება კიდევ ერთი დამხმარე პედაგოგი. აქ სულ 39 თანამშრომელი მოღვაწეობს. ისინი ერთ გუნდად არიან შეკრული და ერთმანეთთან მეგობრული, შემოქმედებითი

გინაროდენ!

ახის სახელმწიფო უნის დეპარტამენტი!

მეტად გასახარებელი ამბავი მერცხალივით შემოფრინდა: მთავრობის დადგენილებით შეიქმნა, უფრო სწორად, აღდგა დიდხანს დადუმებული სახელმწიფო უნის დეპარტამენტი. ადრე მას „სახელმწიფო უნის პალატა“ ერქვა და უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებდა. მაშინ პალატის სანი-ნამძღვრო დროშაზე ეწერა ილიას მონოდება – „დაიცვათ მამული, ენა, სარწმუნოება!“ და გრიგოლ ორბელიანის შეძახილები: „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს“. „მტერობა უნის, არს მტრობა ქვეყნის“.



მაშინ ფართოდ გაშალა მხრები პალატის პირველი თავმჯდომარის, ენათმეცნიერ ლევან ღვინჯიას ნიჭი და ინიციატივებმა, მაგრამ, საუბედუროდ, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, მის ძალისხმევას ნაადრევად ფრთები შეეკვეცა.

და აჰა, იგი კვლავ აღორძინდა!

ორმაგად სასიხარულოა ახალ-შექმნილი დეპარტამენტის თავმჯდომარედ გამოჩენილი პედაგოგის, განათლების სისტემის გამომომხმედილი სპეციალისტის, პროფესორ გიორგი ალიბეგაშვილის დანიშვნა.

დღევანდელი ახალი თაობის დიდი უმრავლესობა მას იცნობს, როგორც თბილისის მერიის საკრებულოს თავმჯდომარეს. ხოლო ჩვენ, მისი თაობის წარმომადგენლებმა, კარგად ვიცით:

ბატონ გიორგის დიდი ღვაწლი განათლების სისტემაში მიუძღვის: იყო სკოლის რიგითი პედაგოგი, ქართული ენა-ლიტერატურის ჩინებული მასწავლებელი, გააშრო-ლულია და ვასილ მალაფე-რიძესთან ერთად ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი, უმაღლესი სკოლის მუშაკი, თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი. ყველგან ყველგან შესანიშნავად გაართვა თავი.

გიორგი ალიბეგაშვილი ქართულ ენაზე, ქართულ სიტყვიერებაზე, ჩვენს კულტურაზე ფუნდამენტურად შეყვარებული კაცია. გვჯერა, ამ სფეროში ბატონი გიორგის მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი იქნება. კიდევ რაღა ვთქვათ? რა და, მთავრობის აქტიური თანადგომა, ხელშეწყობა, დახმარება, შემოქმედებითი საქმიანობის ფართოდ გაშლა არის საჭირო.

რედაქტორი

კოლეჯ „ორიენტირის“ ღირებულება – რამაზ მაჭარაშვილი

საქართველოს პენსიონერთა კავშირის ნაძალადევის რაიონული ორგანიზაცია უღრმეს მადლობას გიძღვნიტ გულითადობისა და თანადგომისთვის. თქვენ ხომ უანგაროდ დაგვიტოვეთ სააქტო დარბაზი კონფერენციის ჩასატარებლად.

ბატონო რამაზ! გულწრფელად გისურვებ, რომ კიდევ დიდხანს შეგაძლებინოთ უფაღმა ასეთი ერთგულებითა და მონდომებით გეკეთებინოთ ის საქმე, რასაც პირნათლად ემსახურებით. ბატონო რამაზ! ნამდვილად მისაბაძია, თქვენი დამოკიდებულება რაიონის პენსიონერთა კავშირთან. თქვენი საქმიანობა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა მეგობრობდნენ, თანამშრომლობდნენ, ურთიერთობდნენ ადამიანები ხანდაზმულებთან. მოყვასის დახმარება, უპირველესად, თავად სიკეთის მკეთებლისთვის არის მაღალი ღვთის წინაშე. დიდი სიყვარულით და პატივისცემით, ნაძალადევის რაიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე ეთერ ლურჯუშელია

ლიბერალური საზოგადოება

ნარდგენა და გაგონათობა ბრწყინვალე "ათინათის"



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ურნალ „ათინათის“ ახალი ნომრის წარდგინება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ორგანიზატორები, მწერლები, პოეტები, საზოგადოების თვალსაჩინო წარ-

მომადგენლები და 175-ე სკოლის მოსწავლეები. ლონისძიება დაიწყო ლოცვით, რომელსაც უძღვევოდა ამალღების ეკლესიის წინამძღოლი მამა ამირანი (მირიანაშვილი), რომელმაც მოიხსენია პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი და დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სასიქადულო პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს. ურნალის რედაქტორი, პოეტი, ურნალისტი და მრავალმხრივი

შემოქმედი გულნაზ ხარაიშვილი გულთბილად მიესალმა მოწვეულ სტუმრებს და ისაუბრა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიასთან დაფუძნებულ ურნალ „ათინათის“ მნიშვნელობაზე და იმ ავტორებზე, რომლებიც თავიანთ შემოქმედებას აღნიშნული პერიოდის ფურცლებზე აქვეყნებენ. ასევე, ხაზგასმით აღნიშნა ნორჩი ავტორებისა და ახალგაზრდა პოეტების ნიჭიერება, შემართება და პატრიოტული სულისკვეთება.



მნიშვნელობა საგანმანათლებლო სფეროში.

პრეზენტაციას განსაკუთრებული ელფერი შესძინეს ახალგაზრდა პოეტების ილია ზაქარაშვილის, ტატო ხარატიშვილის და სხვათა ნაკითხულმა ლექსებმა. მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, თბილისის 175-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის თამარ ნუბაძის ნაკითხულმა შოთა ნინიაშვილის ლექსმა.

ლონისძიება გაამხიარულა ლირიულმა გადახვევამ და სატრიფილო ლექსებმა. სასიამოვნო

მოსასმენი იყო პოეტების გურამ ჭავჭავაძის და ლამზირა შეყილაძის ლექსებით „პაექრობა“ და ერთმანეთის მიმართ გრძობით მიძღვნილი სტრიქონები.

პრეზენტაციაზე, ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მადლობა გადაუხადა 175-ე სკოლის მოსწავლეებს სტუმრობისთვის, ურნალთან თანამშრომლობისთვის და მათ საჩუქრად „ათინათი“ გადასცა. ეს დღე დამსწრეთათვის დაუვიწყარი იქნება, იმდენი ხიბლი ახლდა მას.



ახალბედს, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, ყოველთვის სჯობს გამოცდილი. ბებერი ხარისა რქებიც ენევიანო, ეს ანდაზა სიტყვამ მოიტანა, თორემ დაბრძენებულ, პოპულარულ პოეტს ხარის რქების გასანევი არაფერი ჭირს, მას მდიდარი ბიოგრაფია ამშვენებს. ამდენად, სრული მორალური უფლება აქვს ზავშვიტც და დიდუბიც დამოძღვროს და არა იმით ჰგავს, ვის დიპლომსაც ჯერ მელანი არ შეშრობია და უკვე პარლამენტის წევრია. ამჯერად მის რამდენიმე კოლორიტულ ლექსს გთავაზობთ. მანამდე კი შეგახსენებთ, მკითხველო: გულნაზ ხარაიშვილი მეოცე საუკუნიდან მოდის, იმ დროს მოღვაწე მწერლების სახელოვანი პლეადის წარმომადგენელია. რუსთაველი პოეტი ცნობილი ურნალისტი, თბილისის მამინდელი ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის აღზრდილი, იყო ფილოსოფოსი და მოგზაური ჯუმბერ ლეჟავას სახელობის კერძო სკოლა „გრაალის“ დირექტორი. ამჟამად არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ბრწყინვალე საზოგადოებრივ-მხატვრული ურნალ „ათინათის“ რედაქტორი. მუდამ ეროვნული მოძრაობის შუაგულში ტრიალებდა. სამაჩაბლოს ტრაგიკული ეპოპეის მონაწილეა. დიდი მსხვერპლი გაიღო მამულისთვის. ცოტაა? ალბათ, ბევრ ვაჟკაცს არ ძალუძს ამხელა ტვირთის ტარება.

ასეთ ადამიანებს აქვთ მოხვეჭილი ხალხის ნდობა და სიყვარული. ჰოდა, მოდით ჩვენც მის რამდენიმე პოეტურ ნახელავს გავეცნოთ.

შენი ჰქონდათ

ჩვენი მიწის ჟინი ჰქონდა გამყიდველთა უნდთ ლმობას. ცბიერების ქარი ქრთადა, ვერ ვუძლებდით ბოროტ ამბას. სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, მოკრძალებით შევიარე, მრევლი იყო შავ ძაბებში, ცა კენესთა მშობიარე. დაიბადენ ერის გმირნი გულში დაბრდი გაიფანტა, მთინათლენ, განბანენ, ჯვარი გულზე დაეხატათ. წლებმა შთანთქა სისხლის გუბე, შეიმშრალა ცამ ცრემლები. მიკვირს მტერი რატომ გვიტყვის, რატომ ვხდებით დევნილები? გლავანში სვეტიცხოვლის იღვიძებენ მეფეები, ხმაც მთისმა მაცხთვარის: „საქართველოს ვეფერები. დეთისმშობელი დაგიფარავთ, ჩემთან დაწერს მტრისა საჩრქელს, ცრემლი ბევრი დაიღვარა, თავის შეიღებეს გადაბრჩენს“.

ჩვენი ვაჟი

ზოგჯერ ცხოვრება თითქოს ვაკეა, ხან ცოცხაბობა, ხან დაღმართია.

თუმცა მიწები ბევრი მაკლია, ის ჩემია და აბა მათია. სამაჩაბლოში ჯერ აღმართია, აფხაზეთი კი მტრის სამართია, ის რაც წამართვეს ჩემი ხატია, ჩემთ მამულთ, რა დაგმართია! თმგადახდილო, მიწაე ნატრულთ, ზღვას შეგებმევი, უნდა გავცუროთ, წართმეულ მიწებს სიზმრად ვნახულობ, თუმცა დაჯიჯგენეს, მაინც არ ვწუნობ. ჩემთ მამულთ, აბას ჩავბახსი! შთნს წასულ შეიღებეს მუდამ გავბახსი, წასასვლელებს კი ვეტყვი რას ჩადით? ამერბა და ინგლისი დიდი, რატომ ეტრფიან, რატომ აქვთ რიდი. მიწაც წამართვეს და დაგჩი მწიბი, მოკლეს გმირები და მწარედ ვტვირი. მე იარები მიტომ მატყვი, იქ ზაფხულია, აქ კი მარტია. შეიღვიღებები სხვაგან დახტვიან, ჩემებია და აბა მათია.

ხელგამოწვდილი

ხელგამოწვდილი, წინ, რომ შეგხვდება და კბაღვით გეტყვის: „დამეხმარეთ“, სიბრძნვილის ალი წევას და ედება, ზიზღით ნუ ეტყვი – „გამეტალეთ“. იქნებ არა აქვს თვით წამლის ფული, და მისცემია დაბრდა და გლოვას,

გულნაზ ხარაიშვილი მხნეუკარე ბულით ნათქვამი

ვინ იცის როგორ ატყვიდა გული „შემიწყალოთ...“ როდესაც ვთხოვა. იმეათია, ბოტეს რომ ჰქონდეს, შემიტრეგენინახ... მცირე არ მისცე, შიმშილით გული რომ შეგიღონდეს, დაუნმარებლად არ გამოიქცე. უკანასკნელი თეთრი გავიდე, უსულგულთს კი არ გაჩქმეე ბოტეს, მცირე ნაღველი, შინაც წაიღე და კიდობანში შეგიშვებს ნთე!

დაბრძლი ჩიტი

გამაფხულზე ლამაზ ბაღში, დაეინახე ჩიტი ქვეშში. ავიყვანე როგორც ბავშვი, გადავუყვი ხელი ფრთებში. მან თვალები გაახილა, ჩემად მითხრა: მტკიცეა მკერდში. ცრემლი წამსკდა, შემეცოდა, მოხვედრთა ტყვია ფრთებში. სატოდავი ვეღარ ფრენდა, მადითადა ცრემლი ბეშვით. ტანში გამტრა... გამაჭოჭოლა, და მიიღო გულმაც რეჩხი. ავიხედე, დაეინახე, ღრუბლებიდან მოდის თქემი, თხი რაღა ვქნა? წვიმა მოდის, ნაბიჯს ვერ ვდგავ ხრამს და ლელში, ჩიტს რა ვუყვი?... მომიკვდება...

მომიკვდება, ალბათ ხელში. გადავინსენი მე საკინძე, შეგახვე ჩიტი ჩემში, სხვა სამველი ვერ მოგნახე ვერ შეგქელი წვიმის ხელში.

სიბრძნე ბავშვისა

მკვდარი ბებელა პატარამ ნახა, შეეცოდა და ჩაბერა სული. მერე საბრძლო იქვე დამაჩხა, ლთყები ჰქონდა ცრემლით მოსვრილი. ვინ იცის უფალს, თხოვა ვედრება, ეს დედამწა ცოდვით საესება, ისიც ცოდვით ვინც დაბერდება, თუ გარდაცვლება ღვთით ეს ასეა. პატარამ ცრემლით ბევრი იტირა, სამარეს ჩხირით როტა ბოტნიდა. იქნებ სამველად გიხმთო, გიყვიროთ, როტა ბებელას ნახად კოტნიდა. სიბრძნე ბავშვისა, რეალურია, მასში სიკეთე გულში ღვთოდა. ბავშვი ყოველთვის მზაბრულია, ხოლოთ იმ წუთში ცრემლი სდიოდა... პატარა ბავშვის ეს საქციელი, საფიქრალია და საგნგამო. ლამაზ ბებელას ვინ იცის ელის, მისთვის არ იყო ეს სათამაშო.

გვერდი მოამზადეს მზია გომიქია და ზორის მიხველაქია



იგი ამ საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული, საკუთარი ხმის პოეტია. მისი ლექსები ისეთივე მომხიბლავი და ლამაზია, როგორც თავად ქალბატონი გახლავთ. ახლა ცნობილი პოეტის

მთვარის ყრისკლი - 75

მისი პოეზიის პოპულარიზაცია და უღვანელობა

ვახტანგ გორგანელის წინასწარმეტყველება: მთვარისა კერესელიძე დიდი მომავლის მქონე შემოქმედიაო. ვახტანგის ამ წერილს ქვემოთ შემოგთავაზებთ. მანამდე ჩვენც გვინდა, ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

ყოველთვის პოპულარული იყო მთვარისა კერესელიძის ლექსები. რა დაგვაინწყებს მის პოეზიის საღამოებს ფილარმონიაში, მის წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს რუბრიკით: „პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“ იოსებ ნონეშვილის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნაიძისა და სხვა კლასიკოსებისად-

მი მიძღვნილ გაზეთის მთლიან ნომრებს, მისი კოლორიტული ლექსებით გაჯერებულს. ყველა რედაქციის სასურველი სტუმარია პოეტი, განსაკუთრებით სახელგანთქმულ „ლიტერატურული საქართველოსი“.

მოკლე შესავალ წერილში არა გვაქვს პრეტენზია, ვრცლად მიმოვიხილოთ მთვარისა კერესელიძის შემოქმედება, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვათ: უპრიანი და საჭიროა გაზეთ „სახალხო განათლება“-ში მისი პოეზიის ვრცლად წარმოდგენა. ამ პედაგოგიური გაზეთისკენ მას

გენები უხმობდა. მიემართავთ ასოციაციას: პედაგოგების ოჯახში დაფრთხილდა – მამა დავით კერესელიძე და დედა ვენერა სურმავე სახელოვანი, ამაგდარი მასწავლებლები იყვნენ. თავად პოეტმა ჩვენს გაზეთში თითქმის 40 წელი იღვანა ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელად.

ისევ ასოციაციებს გავყვით: მთვარისა კერესელიძე მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე „ზანას“ ტალღებიდან არის აფრენილი, როგორც ქართული კლასიკური მწერლობის კორიფეები: კონს-

ტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, სიმონ ჩიქოვანი. ისევ ასოციაცია: მთვარისას ლექსებს რომ ვკითხულობ, მაშინვე მისი თანამემამულის სტრიქონები მაგონდება: „მინას დათხრიდნენ შენი ფესვები, მამულს პოეტად რომ არ ეშობე, საქართველოში შენი ლექსები მშვიერ მგლებივით დათარეშობენ“.

მკითხველს ვთხოვთ, ჯერ ვახტანგ გორგანელის შეფასებას გაეცნოს და შემდეგ მთვარისა კერესელიძის ახალ, ცინცხალ ლექსებში მარგალიტები ეძებოს.

ბორის მიშველაძე

მოშავლის მქონე შემოქმედი

როდესაც მთვარისა კერესელიძის ლექსებს ვკითხულობ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვილაგამ ხელი ჩამჭიდა მხარში და თავისკენ შემომატრიალა, რაღაც იდუმალ სამყაროში შემახედა და თავბრუ დამახვია უამრავი ფერებით, მთის ათასგვარი ყვავილების სურნელი გაჟღერებულ ხავერდოვან ველიებში ხეტიალით. ერთ პოეტთან გამოვხატე ჩემი აზრი და იმან მითხრა: – იცი, ვახტანგ, როდესაც მთვარისა კერესელიძის ლექსები პირველად წავიკითხე, ისეთი სილა გამანნა, შევბარბაცდიო. ასეთია პირველი შთა-

ბეჭდილება მთვარისა კერესელიძის პოეზიასთან შეხვედრისა. აი, ვთქვათ, ერთი შეხედვით უბრალო სტრიქონები: „ჩემს შესახვედრად გამოდიან ბრძენნი მამანი, როს ფანჯარაში აინთება იასამანი, და სევდიანი გაქროლებით წელი ქარებით, თეთრ საუფლოში მივექანები“ – მართლაც იდუმალი საუფლო პოეტისა, რომლის ლექსების თემატა ჩვენი თანამედროვეობა – თანამედროვე ადამიანების ცხოვრება, ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის... ამ ადამიანების ფიქრი, ლელვა, დარდი პოეტის შთაგონების წყაროა, და ამ სი-

ვრცეში, ამ რეალობაში ახერხებს იგი ზენიტში აიყვანოს ჩვეულებრივი ადამიანების ადამიანური გრძნობები, ფიქრები, აზრები... ნაიკითხავ მის ნებისმიერ ლექსს და სადღაც უხილავ სამყაროში გადაგახედებს, ამ დროს შენდაუნებურად წამოგცდება ალფრთოვანებულს: ყოჩაღ ქალოო! მისი ლექსების ლირიკული გმირი არც შორდება მიწიერებას, მაგრამ უფრო ზეცისკენ იწევის: „ერთ დროს ხომ ქალი ვიყავი მეცა, თუ არ მიხმობდა მაღალი ზეცა ხმის სინაზითა?“.. ზეციური ხმები ჩაესმის პოეტს და ის ხმები ძე-

რნავს და აყალიბებს ჭეშმარიტ და იდუმალ პოეტად, ზეციურ არსებად. მისი პოეტური „მე“ დატვირთულია ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით: „მე მეშინია, რომ სიცილი არ დამავინყდეს, სიცილი – ჩემი სულის ნუგეში“. ასეა ეს! და ამაში ვინც გინდა შემომედაოს. ეს სრული ჭეშმარიტებაა, და ის რაც ჭეშმარიტებაა, განზოგადების საგანია.

მ. კერესელიძე მომავლის მქონე შემოქმედია. მას ჯერ მხოლოდ ლექსების ორი წიგნი აქვს დასტამბული და ორგზის აქვს მიღებული მწერალთა კავშირის

პრემია. ეს დასტურია მისი მაღალნიჭიერებისა.

მ. კერესელიძის ლექსები სისტემატურად ფართო პლანით იბეჭდება ჩვენს პერიოდულ პრესაში, ყოველდღიურ გამოცემებში. მისასალმებელია ეს და თუ გნებავთ, დიხაჯ, რომ ასე უნდა იყოს, დიხაჯ, რომ ნიჭიერებას უნდა დაეთმოს ფართო ასპარეზი, მწვანე გზა.

ჩვენი მკითხველი საზოგადოება ბევრ კარგ ლექსს, მრავალ პოეტურ კრებულს მოელის მთვარისა კერესელიძისგან.

პანსტანო გორგანელი

ფოქსები

ყუნაში დედოფალი

ქუთაისში, ბაგრატიონის ტაძრის კედელთან უცნობი დედოფლის სამარხი ოპოვს

საქართველოს უცნობო დედოფალი, საქართველო ტახტს ისევ დაგიდგამს, მგალობელთა გუნდი გალობს... ღვთის უკეთესი რა გინდა?! შემოანათე ოქრო დედოფალი – რწმენის ტაძრებით, ოქროთი და ვერცხლით! არ ვიცი, რა ძალით ანათე საუკუნეებში მინავლული ქართული სული და ცეცხლი! ათასწლეულებს გადმოაშუქე დედოფალი, შემოანათე ქუთათური ოქროთი... ათასწლეულებში, იმ ბნელ ხვეულებში, ვინ იცის როგორი სურვილით მიქროდი! იქნება გერქვა ანა დედოფალი, ამოანათე ფერფლიდან და ნაცრიდან! ათასწლეულებში – ანა დედოფალი, შენი ცა, სანატრელო, ოცნებებს გაცრიდა... გადმოაშუქე მინავლულ სანათებს, ათასწლეულებში ნაჭედი ვერცხლით, არ ვიცი რა ძალით ანათე – საუკუნეებში მინავლული ქართული სული და ცეცხლი!

ყამან გადმოშაშალა

ყამან გადმოშაშალა, მარადიულ თავშალად, პოეზიის წვიმა... გავილუმპე, მაგრამ რა??? წამსვე მტრობამ წაშალა, ეზო, ქუჩა და შარა, დარდით აღარ მძინავს! ...და გაისმა ხმაური, რაღაც, არ აქაური, – პალმა... დაფნა... ბზა... დიდი აურზაურით, მოდის თითქმის ზღვაური – გზა! ახლა წვიმაც არ მინდა, ცა კი ქუხს და გრგვინავს, ახლა ერთი წამითაც, დოლაბს აღარ ძინავს,

ქარებს ვგავარ მოკვივარს, ისევ მასხამს კოკითა... პოეზიის წვიმა!

დავბადებულვარ რადგან ქართველად, – მუხის ფესვიდან, მუხის ყლორტიდან, რადგან არნივის ვიცი მართე ვართ, და ათასწლეულ გზებით მოვდივართ! იის ფესვიდან ამოსულ იას, ვარდის ძირიდან ამოსულ ვარდებს, სალი კლდეების დეკას და ღვიას, და მყინვარების ფრთაძლიერ მართევს... რა შეაჩერებს, – ეს მრუემ სიტყვა? – თუ ათასგვარი ატლასი, ფლასი, რაც სათქმელია ბოლომდე ითქვას, რომ გვექონდეს მეტი წონა და ფასი! რომ გვექონდეს მეტი ფასი და წონა, უმჯობესია აზრთა კრებულები! ვის რაში უნდა საბრალო მონა, უმწეო პატრონს მიჩერებული!

რაღაც ღვთიური რამ სასწაულით, სავარდე ველზე ვართ ამოსული. სავარდე ველზე ვართ ამოსული ვით მარტოსული ყაყაჩო ველად, ვით საოცრებას, სამყაროს სურვილს, როგორც სასწაულს გვიყურებს ყველა! და თუმცა გვიცავს ქარისგან რიდე, მაინც გვჭირდება დრო და დრო შევლა, მეხთატეხანი ვერ ავირიდეთ, და სასწაულად გვჭამს სარეველა! სულ თავს ვიცავდით, ხშირად, თუმც ძნელად, ჩვენი სისხლით და ჩვენზე სხეულით, დღესაც ისევ გვჭამს ის სარეველა, ადევნებული ათასწლეულით!

ყველა მტერია, დღეს მოკეთე არა ჰყავს საქართველოს, ეს მისტერია – ცრუ ფანდია, ვისაც რა მართებს, – უნდა მიუზღოს, – უნდა აღსდგეს ერი საჩინო, და საქართველო ერთხელ კიდევ გადაარჩინოს!

პოლუფია სფლაჯის ქაზი

ვიყავ, ვიცხოვრე ამ ქვეყნად, საჭურჭლეც ბევრი მეოხრა, სუყველა ქარმან ნახვეტა, დამრჩა ყოველი მე ოხრად, ჭირსა შიგან და გარეგან,

შენ მეგულვოდი მეოხად! ვილიმილე და ვიცხოვრე – სული გაფინე ფშანებთან, მრუდე გამიხდა საწუთრო, საოხრად, დასანანებლად. ხან მამალმერთი ვანუხე, ხან მაცხოვარი – იესო, და ამა სოფლის მარწუხებს, დაეუძვერ, თუმცა მსდიესო. ვილიმილე და ვიცხოვრე სული, – გაფინე ფშანებთან, არც არა დამრჩა საკვეხნად, არც არა დასანანებლად!

სუმროში და სოცლი ნათქამი რქი

მოკვდები, გაუხარდება ჯერ მტერს და მერე ჭიას... ხალხური

თავი სიზმარში მგონია – ამ გაუხარელ დროში, არასდროს არა მქონია, ჯიბეში ერთი გროში! გზას ვერ გავიკვლევ ვერსაით, ასეთ არეულ ბრბოში, რა მინდა, რას ვეხეტები, ან ცათა საუფლოში! წავალ? – ბევრს გაუხარდება, მლილებს, ტილებს და რწყილებს, არც ტარაკანა მიტირებს, არც ხოჭო დამიტირებს! არც ვინმე მიუსამძიმრებს, ჩემს გაუხარელ შვილებს! ...და ანდა რისთვის ვიცხოვრე, ამ გაუხარელ დროში, ყველიან კვერებს მიცხოვნი ისლით დახურულ ქოხში... ლოცვები ისმის, იცოცხლე, მამათა საუფლოში... თავი სიზმარში მგონია, ამ გაუხარელ დროში, არასდროს არა მქონია, ჯიბეში ერთი გროში!

ყველამ თავისი დაგვაჩინა ბინძური კვალი, ყველა დაგვანვა მხრებზე ხუნდებად!

ყველამ თავისი დაგვადო ვალი,
და მის გადახდას დღემდე ვუნდებით!
ყველამ თავისი დაგვიგო მახე,
და ინტრიგებში ყველა ჩვენ გვახვევს! –
სიყვარულს გვართმევს, სიძულვილს თესავს...
ამბობს: – ლაქები აქვს თვითონ მზესაც!
გადავქცეულვართ თითქოს ჰუნებად,
ძალზე დიდია ახლა ცდუნება, –
უნდა ვიბრძოლოთ, უნდა ვიბრძოლოთ,
უნდა ვიბრძოლოთ ერის სახის დასაბრუნებლად!

ეშმაკს მიჰყიდეს სული ცოდვილი,
არ ჩაუვლია ამას უკვალოდ,
ვინ ვართ, რანი ვართ, ვისგან გმობილი?
იქნებ შენ მაინც გვითხრა, უფალო!
ან ეს რა ხდება თვალთა ნათელი,
იქნება შენაც მითხრა იქაო! –
განგება ლუპავს დღეს საქართველოს,
თუ კვლავ ეშმაკი შურს იძიებსო!
ვინ არს ცოდვათა ან განმკითხავი,
ან ამ ცოდვილთა ვინ მიუტევოს,
გზაჯვარედინზე „მტრედი მკითხაობს“,
„მტრედი მკითხაობს“ – კარგავთ იერსო!
თუ ღვთის ნებით ვართ მტრისგან ძლეული,
და სიტყვის თქმისაც არ გვაქვს უფლება,
წრიალებს ქარში სული ეული...
ცა იგრაგნება ელვის ღრუბლებად!
შეშლილ ქალივით ხარხარებს ქარი,
ქარი შემოიღობს და მოხარხარე,
ამოვარდება იდუმალ ძალით,
და გრიგალები მიმტრევენ კარებს!
და ველარ ვახელ ნისლისგან თვალებს,
და ველარ ვხედავ რა ხდება გარეთ,
დაუხაფრია გველეშაპს მთვარე
და გველეშაპი დარაჯობს კარებს!
და გველეშაპი საქართველოს უღენავს კარებს,
და გველეშაპი ყველა ქართველს უღენავს კარებს,
და გველეშაპი ჩემს სამშობლოს უღენავს კარებს...
ვაი თუ, გატყდეს ქართული მთვარე –
და დავრჩეთ ჩვენი სამშობლოს გარეთ!
...გველეშაპი, რომ ქართულ მზეს ხაფრავს,
გველეშაპი, რომ ქართულ ცას ხაფრავს...
გამოიცანით, რა ხდება ახლა?!
გამოიცანით, რა ხდება ახლა?!

ჩემო ნამზეურო, ნააკნარო,
ჩემო მონყენილო სოფელო,
ჩემო შთაგონებავ უპოვარო
შენი ცა და მიწა სწორფერობს...
ჩემო დედულეთ-მამულეთო,
„ჩემო საფიცარო ამულეტო“...
მიტოვებული სასიმიდვე
კერიის კვამლო და ნაცარო,
მე თქვენს ნაფეხურებს სად არ მივდევი,
იქნებ ცოტა კიდევ მაცალოთ...
მიწავ, სავარდევ და საფიცარო,
შენს ლოცვა-კურთხევას ვუნდები,
უნდა შენს ლოცვაში დავიღალო,
ვიდრემდის არ დაგიბრუნდები,
თქვი, – ის სიხარული სად წავიდა,
ან ის აღმაფრენა რა იქნა? –
იქ რომ პანანინა გოგო ენთო,
სად, ან რომელ ქარში ჩამიქრა!
მაინც შენსკენა მაქვს გულისყური,
მოვალ, რომ გულში ჩაგიკრა.
უნდა ერთხელ კიდევ მოგისმინო,
ჩემო უფარდო და უფასმინო...
ჩემო უსტირო და უპოვარო –
ლექსო, უძირო და უმსტოვარო,
აქ შენი ნავსაყუდარია,
სულსაც აქ იმიტომ უხარია...
ჩემო გასახარო ოქროს ნერგო,
ეს გულიც, ეს სულიც, ეს სიცოცხლევ
აქ, შენთან უნდა ჩაიფერფლოს!

ედრებოდნენ არწივებს,
ედრებოდნენ ლომებს,
აისხამდნენ ყანიმებს
და იგებდნენ ომებს!
ბრძოლას ვინ ასწავლიდათ,
კავკასიელ ლომებს,
რაინდებდა გაზრდილებს,
რაინდობის მდომებს!
ან ომს ვინ მოუგებდათ
მეომრებად განვრთნილებს,
კავკასიის ბუდიდან,
ამოფრენილ არწივებს!
ბრძოლას ვინ ასწავლიდათ –
მგლები, ომის მდომები,
რაინდებდა აკვნიდან,
იზრდებოდნენ ლომები, –
სიცოცხლად არ ყოფნიდათ

თრიალეთის ომები!
მტრების რისხვად, ღრიალით,
ეშვებოდნენ მთებიდან,
ახლაც ისმის მათი ხმა,
საძმო ყორღანებიდან!
ბრძოლას ვინ მოუგებდათ,
არწივებად განვრთნილებს,
კავკასიის ბუდიდან,
ამოფრენილ არწივებს!
არ უკრთოდნენ ქარ-წვიმებს,
გავდნენ მბდღვინავ ლომებს,
აისხამდნენ ყანიმებს,
და იგებდნენ ომებს!

ირონიული ლექსი
ან რას ვუტოვებ შეილებს სარჩოდ, ან სამერმისოდ,
ზღვის შესართავთან ნილოსივით უნდა შევივსო,
და მე – უდაბნოგამოვლილი, ფართე სინებით –
შენაკადებით დატოტვილი მოვედინები!
...სად არ ვტრიალებ, ან ვცდილობ რამდენს,
ეს ერთი თხოვნა აღმისრულე არსთაგანმრიგევ, –
პატივი დამდე! –
რომ მტრედის სულია რა გატყინო, როდესმე, სადმე,
რამეთუ, – ხედავ ყოველი დავთმე!
რამეთუ – ხედავ დავთმე ყოველი
ახლა შორს არის მტრედისფერი სვეტიცხოველი!..
თუმცა არ ვიცი, საითკენ მივალ,
მაგრამ მამული, მამული მტკივა!
საქართველო – უზენაეს ფიქრთა მთოველი,
თუმც სასიკეთოს არსაიდან არც რას მოველი
საქართველო მარად ჩემი ნათელი სვეტი, –
ყოველივეზე უმაღლესი, ყოველთა მეტი!
და ამისათვის დავთმე ყოველი,
რომ კვლავ მდგარიყო მცხეთას რწმენის –
სვეტი – ცხოველი!
ეს ერთი თხოვნა აღმისრულე – არსთაგანმრიგევ,
ქარებს ნუ აშლი,
მამულის კართან ზღვარს ნუ დამიდებ –
მიჯნას ნუ წაშლი!

ქაბადოკია - 1985, ფიქრი...

რამ გადარია რუსიკო, სიმი? –
ან ეს აგვისტო რამ გადარია,
მოხეტიალე მუსიკოსივით,
ქარი ქუჩაში უკრავს არიას!
ქარი ქუჩაში უკრავს არიას,
მზეა, მთვარეა თუ ავდარია!
ეს ცხადი არის, თუ სიზმარია, –
ნუთუ, სამშობლო მართლა მკვდარია?
ნუთუ ცოცხალ ვართ და ველარ ვხვდებით,
როგორ თანდათან, თანდათან ვქრებით!
მამულო ჩემო, ამას რას ვხედავ,
გამოვცოცხლდებით როდესმე ნეტავ?
მზე ჩაესვენა უდაბნოს მხარეს,
უდაბნოს ქარებს გაჰყავა ოცნება,
კაბადოკიის ლამაზი მხარე,
კაბადოკიის ცა – საოცრება!

გამოგვიძახე!

ბ. ბერიაშვილის ხსოვნას

გამოგვიძახე!
– აფხაზეთი გავყიდოთ უნდა,
ჯიბის ფულადო და ჯიბის ხურდად!
ამ ფაქტს თავიდან, რა თქმა უნდა, შეხედე უნდოდ,
გეგონა ტყუილს გიყვებოდნენ, იმიტომ, თუნდაც,
ასე იოლად რომ ამბობდნენ ქვეყნის გაყიდვას,
ფულს ვიშოვითო, უმაღლოდნენ თითქოს თავის თავს!
როგორ? – გავყიდოთ აფხაზეთი? –
ეს რაებს რომაეთ!
და აფხაზეთის დასაცავად აღმართე დროშა!
რომ ჩაგქრობოდა შენეული ცეცხლი და გზნება,
პირობითია, – გითხრეს მაშინ, სამშობლოს მცნება!
– მყიდველიც არის, მოგვეცემა ფული ტომრებით,
ვერვინ იქნება ჩვენი მომრევი!
ვის უნდა? – ვის და... რა თქმა უნდა, ახლო მეზობელს,
(რუსეთი ამ დროს ისვენებდა ზღვაზე ქოლგებით!)
ველარ შეთხზავდა უფრო ლამაზ იგავს ეზოზეც,
ვერავინ იყო ჩვენი მომგები!
– რა აიტეხა მამულიო, ამ კაცმა, ბიჭო,
(ჩვენი ოჯახი ჰგავდა მაშინ მყუდრო მინარეთს!..)
არიქა, ჩქარა, არ გავტეჯვასო, მოვკლათო გვიჯობს,
თქვეს და... მკვლელები დაგასიეს სახლში, მძინარეს...
ასეთი იყო ისტორიის ერთი ფურცელი,
და რჩება დღემდე, გაუხსნელი საქმე, უცვლელი!

ჩვენის გამყიდველი მოხუცი

ა, იქ, იდგა და წიგნებს ყიდიდა,
ა, იქ, იდგა და ყიდიდა წიგნებს,
იყო პატარა, იყო დიდი და...
სულ აქ იდგა და... წიგნებს ყიდიდა...

მერე წავიდა თავის ბილიკით,
შინ მიდიოდა ქილიკ-ქილიკით!

საქართველოსთვის სალოცავად ანთია კვარი, –
ლიაა დიდებულ ტაძართა კარი...
ამბიონს ვინ განეკრძალება
მე კი, ამქვეყნის დიდებულ მდგარი –
ქართული ცა და ორდენი მთვარის
დავკიდე მამულის კარებად!

ვაჟა

**რამ შექმნა ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმად!**
ვაჟა

ეგ შენი შუბლის ნათელი,
მორონზე უფრო ბრწყინავდა,
რამ შექმნა ადამიანად,
რატომ არ მოხველ წვიმად? –
აზვირთდებოდი მდინარედ,
ჩამოანგრევდი კლდეებსა,
სულ ბარად ჩამოიტანდი,
ხევ-ხუვებსა და ღრეებსა!
მიტომაც, გაჩნდი ვაჟადა, –
კლდის გაუტეხელ კაჟადა!

გალაქიონი

მას შეეძლო ზესთა
ეგრძნო დიადება,
რიტმის უმდაფრესად
შემოტრიალება!
თუ ელავდა ფრესკა –
ცათა ციალებით...
მას შეეძლო ზესთა
შემოტრიალება!

მარტყოფის ველი

ნოსტეში ბინდი ჩამოწვა თურმე,
ვერ გაეკვლიათ გზა სავსე ურმებს
გადაჭრეს გზები...
ავსილნი გზნებით, –
იცავდნენ მთებით მოსულ მტერთაგან
თავის ქვეყანას!
ნოსტეში ნესტი ჩამოაქეთ ქარებს,
მკრთალად ანათებს ნოსტეში მთვარე,
ნოსტეში ია ქვითინებს კრძალვით,
აქ ყოჩივარდაც ჩამოხტა გავლით,
აღარ გამოდის ბინდის ჟამს გარეთ,
პაატას თვალებს ეკრძალვის მთვარე!
სამაგიეროდ დუმს შიშის მგვრელი,
ძვლებით აღსავსე მარტყოფის ველი!
სადღაცა ჩუმად ფაჩუნობს შველი,
შველი მეორე ლამაზ შველს ელის,
არ შრიალბენ ლურჯი ყანები,
ყოველი დროის ჩაცხრნენ ხანები,
აქ არც ურჯულს ურდოს ელიან,
უკაცრიელი მხოლოდ ველია!
– აი, იმ გზაზე გავლა ძნელია,
აი, იმ გზაზე გავლა ძნელია,
– იქეთ მარტყოფის ვრცელი ველია!

ისევ დავიქძ

ისევ დავიქძე წარსულის გზებზე,
ჩემი ოცნების მზეზე გაფენილს,
ჩიტის ბუდეში ჩაფენილ ლექსებს,
და მთელ ცხოვრებას უქმად გაფრენილს!
ისევ დავფრინავ ზეცაში დღემდე,
თუმცა წარსულმა, ვიცი, დამტოვა,
მე ოცნებაში აფრენილ ლექსებს,
ჩიტის ბუდეში ვფენდი რატომღაც!
ახლა დამტორავს ფიქრი ლომური
და ბუდეებში დავიქძე ლექსებს,
აღარც ბუდეა, აღარც გომური,
ვერ შემინახეს ჩიტებმა დღემდე!
მზე კვლავ იცინის და მინდვრებს ქარგავს,
სხვა ბავშვი დარბის, იქ, სოფლის გზაზე,
ჩიტის ბუდეში თუ დამრჩა ალბათ,
მე იმ დაკარგულ ბავშვობას ვეძებ!

**P.S. მშობლიური ვაზეთი „სახალხო განათლება“
გულმზურვალედ ულოცავს მთვარისა კერესელიძეს
იუბილეს და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს.**

**მკითხველო, პოეტი კავალერია: მწერალთა კავშირისა
და პროფსაბჭოს ერთობლივი, ნიკო ნიკოლაძის, სერ-
გეი მესხის, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონის პრემიებისა,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტია, 12 მედ-
ლის მფლობელია. ყველაფერ ამასაც გილოცავთ, ჩვენო
იუბილარო!**

გაიხანით დიღუზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი!

აღზრდა-განათლების გამორჩეული კერა

სწავლა-აღზრდის სისტემაში განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თბილისის



„ჯიჰირანი“ — მარიამ ჩაჭიკაძე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და მის ფილიალებს. ხსენებულ სტრუქტურას ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო და აღმზრდელი საქმიანობის ღირსეული, კომპეტენტური, დიდი გამოცდილების მქონე პიროვნება მანანა წნორიაშვილი.

მისი ფილიალებიდან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ დიღუბის რაიონის მოსწავლე-

და ცნობილი იყო „რკინიგზელთა სახლის“ სახელით. ეს შენობა ამ სახლს სპეციალურად მიუშენდა 1953 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი რკინიგზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (ამჟამინდელი დიღუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) 7 წლით უფროსია ეროვნულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეზე (როგორც ცნობილია ეს უკანასკნელი 1941 წელს დაარსდა). რკინიგზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა დაარსებისთანავე მრავალმხრივი მუშაობა გააჩაღა — მოიწვია მოსწავლეები სხვადასხვა წრეებში და სექციებში, აწყობდა სააგიტაციო და გამსვლელ კონცერტებს, სკოლის მოსწავლეებისთვის აწყობდა ტურისტულ ლაშქრობებს, მსვლელობებს და ა. შ.

ამ სახლის აღსაზრდელების მიერ განხორციელდა თითქოსდა შეუსრულებელი იდეა — ამენდა და ექსპლოატაციამში შევიდა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა „მუშტაქაის ბაღში“, რომელიც 1935 წლის ივნისში გაიხსნა. დიღუბის ბევრმა ალბათ არ იცის, რომ ყველაასათვის საყვარელი საბავშვო რკინიგზა დღევანდელი დიღუბის მოსწავლე-ახალგაზრ-



ვოკალური ანსამბლი „ჩიორა“ მარიკა ბერიტაშვილი

ნონელიძე, გივი ლაცაბიძე, ოთარ ნასყიდაშვილი, გივი მამსიკაშვილი, ოლა ზაბუქიძე, მიხეილ კაფიფი. მუსიკოსები: ლოტბარი აკაკი ქარსელაძე, დირიჟორი იულია თავართქილაძე, ემა აფხაზავა, იური თავართქილაძე, ნოდარ მდინარაძე, რობერტ ბარძიმაშვილი. ჭადრაკის დიდოსტატი მიხეილ შიშვი. ცნობილი კერამიკოსი აპოლონ ხარბაძე. მსახიობები: რევაზ თავართქილაძე, მარიამ ბუბუტიშვილი და მრავალი სხვა.

აქ შეიქმნა ცნობილი ბავშვთა ანსამბლები — „ნერგები“ — ნოდარ მდინარაძის ხელმძღვანელობით, რომელიც დღესაც არსებობს. „ლახტი“ — რობერტ ბარძიმაშვილის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული ანსამბლები „გაზაფხული“ — გივი ლაცაბიძის ხელმძღვანელობით, „შევარდენი“ — ქორეოგრაფი ოთარ ნასყიდაშვილი და მრავალი სხვა.

1993 წელს რკინიგზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი გადაეცა საქართველოს განათლების სამინისტროს და მას შემდეგ დიღუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სახელით არსებობს.

1998 წლიდან თავისი ტრადიციული, დიდებული შენობიდან ეს სახლი განთავსდა დიღუბის მეორე მოსწავლე-ახალგაზრდობის შენობაში, მეორე სართულზე და დღეს იქ მუშაობს.

ამჟამად ამ სახლში 300-მდე მოსწავლე მეცადინეობს სხვადასხვა წრეებსა და ანსამბლებში. აქედან 190 სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა. მათი სწავლის გადასახადს თბილისის მერია აფინანსებს.

მოსწავლეები გამოცდილი, კვალიფიციური პედაგოგების ხელმძღვანელობით ეუფლებიან: ვოკალის, ცეკვის, ხალხურ საკრავთა, მხატვრული ტანვარჯიშის ხელოვნებას, იღრმავებენ ცოდნას ინგლისურის, მათემატიკის, რუსული ენის წრეებში.

ინგლისური ენის წრეს ხელმძღვანელობს სერტიფიცირებული პედაგოგი ნათია მგალობლიშვილი, რომლის აღსაზრდელები სისტემატურად მონაწილეობენ საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, სადაც წამახალისებელი ჯილდოები აქვთ მოპოვებული.

წარმატებით მუშაობს მათემატიკის წრე — გამოცდილი პედაგოგის მარინე ჯაშის ხელმძღვანელობით, მისი მეთვალყურეობით მოსწავლეები არამარტო იმაღლებენ სკოლაში შეძენილ ცოდნას, არამედ მრავალ სიხალეს

ეცნობიან. ვოკალურ ანსამბლ „ჩიორას“ ხელმძღვანელობს კომპოზიტორი მარიკა ბერიტაშვილი. იგი არამარტო სიმღერას ასწავლის ბავშვებს, არამედ შესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებებს უწერს მოსწავლეებს. ისინი კი სხვა კომპოზიტორის ნაწარმოებებთან ერთად სიამოვნებით ასრულებენ



მათემატიკის გაკვეთილი — მარინე ჯაში

მარიკა მასწავლებლის ნაწარმოებებსაც.

მხატვრული და გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის წრეს ხელმძღვანელობს, წარსულში ცნობილი ტანვარჯიში, სპორტის ოსტატი ბელა თევზაძე. მისი აღსაზრდელები იმარჯვებენ სხვადასხვა შეჯიბრებებსა და კონკურსებში. ამ წრის აღსაზრდელები არამარტო სპორტული მიღწევებისთვის იბრძვიან, არამედ ზოგადად ფი-

ციკვავემ მარიამ ჩაჭიკაძე ცეკვით „ჯიჰირანი“ არაერთხელ დაიმსახურა მაყურებლის მოწონება. ანსამბლი ამჟამად ახალ ცეკვებს ამზადებს. ანსამბლის ხელმძღვანელი ნიკა რეხვიანი თავად ამ ანსამბლის აღზრდილია და წარმატებით აგრძელებს მის სახელოვან ტრადიციებს.

ნაყოფიერად მუშაობს ქართული ცეკვის ანსამბლი ბესო დეკანოზის ხელმძღვანელობით, ბესო „სუხიშვილებს“ ანსამბლის მოქმედი სოლისტი და იქ მიღებულ ცოდნა-ოსტატობას უშურველად გადასცემს თავის ნორჩ აღსაზრდელებს, პირველი წარმატებებიც უკვე სახეზეა.

შემოქმედებითი მიღწევები აქვს ხალხურ საკრავთა ანსამბლ „თილისმას“. მას გამოცდილი ხელოვანი ნანა მალაქელიძე ხელმძღვანელობს. ანსამბლი არაერთი კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატია.

მრავალფეროვანია მხატვრული თარგმანისა და რუსული ენის წრე (პედაგოგი თინათინ სარქისიანი), სადაც მოსწავლეები რუსული

ენის გარდა მხატვრული თარგმანის ხელოვნებასაც ეუფლებიან. მიმდინარე 2017-2018 სასწავლო წელს მრავალ ღონისძიებას დაგეგმილი. მოსწავლეები, აქაც, როგორც ყოველთვის, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ და თავს ისახელებენ.

აი, როგორი საინტერესო, მჩქვარე ცხოვრებით ცხოვრობს ეს სახელგანთქმული სახლი. გაზეთ „სახალხო განათლება“-



ანსამბლი „ცირული“ — ნიკა რეხვიანი (ქორეოგრაფი)

ახალგაზრდობის სახლზე. მას დიდი ხანია ხელმძღვანელობს ცნობილი, გამორჩეული, აქტიური, მრავალმხრივი განათლებული კაცი ვაჟა ჭიბაშვილი.

ცოტა რამ ისტორიიდან: ეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი უძველესი დანესებულება არამარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში. იგი დაარსდა 1934 წლის თებერვალში და იწოდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პრობაგანდის სახლად. თავისი შესანიშნავი შენობა გააჩნდა იმდროინდელ პლენხანოვის პროსპექტზე



მხატვრული ტანვარჯიშის წრე — ბელა თევზაძე



ინგლისურის გაკვეთილი — ნათია მგალობლიშვილი

ზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას იკაფებენ ბელა მასწავლებლის მითითებებითა და მკაცრი მეთვალყურეობით.

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ცერული“ 45-მდე ბავშვს აერთიანებს, ნორჩი მოცეკვავეები ახალგაზრდა ქორეოგრაფის ნიკა რეხვიანის ხელმძღვანელობით ეუფლებიან ქართული ცეკვის რთულ ხელოვნებას. ნორჩმა მო-

ისრედაქცია შემდგომ წარმატებებს უსურვებს თბილისის დიღუბის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს და მის ღვაწლმოსილ ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს აღზრდისა და განათლების ამ გამორჩეული კერის ნაყოფიერ საქმიანობაში.

რომან მოსეშვილი

ასპარაჟი ნიჭის და უნარების გაფორმებისა

იგი შემოქმედი მოსწავლეების სახლია

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გლდანის ფილიალში, მუდამ შემოქმედებითი ფუნქციონირებს. აქ მუხლჩაუხრელად ზრუნავენ მოსწავლეების აღზრდასა და ცოდნის დონის ამაღლებაზე. ეს სახლი, უკვე 37 წელიწადია, განათლებასა და მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. სამწუხაროდ, შენობა არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ ეს ცუდად არ ასახულა სწავლის ხარისხზე. 21 წელიწადია მოსწავლეთა სახლი, 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში, მე-2 სართულზე განთავსებული. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

მოსწავლეთა სახლს სათავეში უდგას ღვანლმოსილი პიროვნება, ინგლისური ენის ჩინებული პედაგოგი **ლიანა კობალიანი**. იგი, 37 წელია, დიდი რუფუნებით ემსახურება მოსწავლეების ამ საბავშვო პროფესიას და ვინ მოთვლის, ამ ხნის მანძილზე, რამდენი თაობის აღზრდილია. მოსწავლეთა სახლში ქალბატონი ლია თავდაპირველად მეთოდისტად მუშაობდა, შემდეგ კი - ხელმძღვანელად აირჩიეს და უკვე, 31 წელია ნაყოფიერად უძღვება დაკისრებულ საქმიანობას. იგი არაერთი წამოწყებისა და სიახლის ავტორია.

ამჟამად, მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა დასახელების საგნობრივი და ხელოვნების წრეები. სიახლეა ის, რომ გაიხსნა საბავშვო კლუბი „Hi 5“, ასევე, **ტანვარჯიშის, ქარგვის, ხელნაკეთი ნივთების, ქართული ცეკვის** წრეები. აქ ასწავლინ **ხატვას და ლათინო-ამერიკულ ცეკვებსაც**.

სწავლის ხარისხი მაღალია და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის საფუძვლიან ათვისებას. გაიცემა შესაბამისი დონის სერთიფიკატი. აქაური მოსწავლეები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში.

სასწავლო პროცესს კი, მაღალკვალიფიციური პედაგოგები წარმართავენ. წრის ხელმძღვანელები არიან: **თეა ნოზაძე** - ისტორიის, **ნანა ბინაძე** - ინგლისური ენის, **რიტა რაზმაძე** - ქიმიის, **გურანდუხტ ქეცბაია** - მათემატიკისა და უნარების, **მანანა ლაბაძე** - ქართული ენისა და ლიტერატურის, **თამარ მურველაშვილი** - ბიოლოგიის, **ბელა თოდუა** - ფიზიკის, **ნათია გაჩეჩილაძე** - მათემატიკის, **ხატია ცირეკიძე** - ინგლისურის, **ნათია თინიკაშვილი** - რუსული ენის,

გულნაზ კანდელაკი - ფსიქოლოგიის, **დალი აბრამიშვილი** - ჭადრაკის, **ხათუნა ცხვედაძე** - ქართული ხალხური სიმღერები და **იზაბელა ქავთარაძე** - გიტარის წრის ხელმძღვანელია.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა სახლში სულ 500 მოსწავლეა და აქ სოციალურად დაუცველთა სწავლა უფასოა.

როგორც ქალბატონმა ლიამ აღნიშნა: საგნობრივი წრეების ხელმძღვანელთა მუშაობის პრიორიტეტად მიიჩნევა საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის მოსწავლეთა მომზადება, რომელიც მიმდინარეობს სამუშაო გეგმის მიხედვით. აქაური მესვეურები ამაყობენ იმით, რომ მათი არაერთი კურსდამთავრებული, 100-პროცენტული დაფინანსებით ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მოსწავლეთა-ახალგაზრდობის სახლს, სხვადასხვა წრეებში, არაერთი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს. შესანიშნავი შედეგები აქვთ ნორჩ მოჭადრაკეებს, რომლებიც მე-5 თანრიგისთვის არიან. დიდი წარმატებები აქვს ქართულ ხალხურ სიმღერათა და გიტარის გოგონათა ანსამბლს, რომლის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში.

უნდა ვთქვათ: **ლია კობალიანის** ინიციატივით და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის **მანანა წნორიაშვილის** გვერდში დგომით, **გლდანის, ნაძალადევის, ისნის და საბურთალოს** სახლებში დაინერგა ინგლისური ენის სწავლების ახალი მეთოდი სხვადასხვა დონეების მიხედვით.

სახლი აქტიურად თანამშრომლობს დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფილიალებთან, ხშირად იკრიბებიან, აწყობენ კონფერენციებს და ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

ამ საგანმანათლებლო სახლის მთავარი მიზანია: მოსწავლეებმა სრულყოფილი ცოდნა მიიღონ და ჩამოყალიბდნენ ეროვნულ-პატრიოტ ადამიანებად.

სამომავლოდ, მოსწავლეთა სახლი გეგმავს სწავლის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, სიახლეების დანერგვას, მოსწავლეების დაინტერესებას სხვადასხვა თვალსაჩინოებით, საინტერესო ღონისძიებების გამართვას, ოლიმპიადებისთვის თემების მომზადებას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდ წარმატებებს და სახელს მოიხვეჭენ.

მზია გომოქია



კლუბი "Hi 5" — თეა ნოზაძე



გაკვეთილი — გულიკო კანდელაკი



ანსამბლი „კისანა“ — ხათუნა ცხვედაძე



გიტარების ანსამბლი — იზა ქავთარაძე



ცეკვის ანსამბლი „ნათეა“ — სოფო ზოდროკია



გაკვეთილი ბიოლოგიაში — თამარ მურველაშვილი



ფიზიკა — ბელა თოდუა



ინგლისური ენა — ნანა ბინაძე



რუსული — ნათელა თინიკაშვილი




ტანვარჯიში — ლიზა აფაქია



ჭადრაკი — დალი აბრამიშვილი



მათემატიკა — ნათია გაჩეჩილაძე



ელექტრონული ნიშნის პრეზენტაცია — ხატია ცირეკიძე



საყმაწვილო პოეტად არის დაბადებული, – მასზე ამბობენ. **ნაირა ნიჟარაძის** ყველა ნიგნი მომწონს, მაგრამ ხომ ნათქვამია: მგონის მგობი არ დაიღვევო. ისიც არის ნათქვამი: ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს – მღვდლის ცოლიო. ჰოდა, მე გამორჩეულად მიყვარს ნაირას მომცრო ნიგნი „აბლაბუდა“. რატომ? რატომდა, არცერთ საბავშვო ნიგნს არ ჩამოუვარდება და ყველაფერი ბავშვის თვალით არის დანახული. ოღონდ, ერთი შეხედვით სათაური არ აღძრავს სასიამოვნო ემოციებს. რა არის, ნაირა, რა?! უკეთესი სათაური ვერ მოუხსნებ? თუმცა, არც ისე ყოფილა საქმე, რომ ჩაუღრმავდები, აღმოაჩენ: ასზე მეტი პანია ლექსია შეტანილი და არცერთ მათგანს არ ჰქვია „აბლაბუდა“. თურმე იგი კრებითი სახელია. მხოლოდ ერთი, ოთხსტრიქონიანი ლექსია „ობობა“. მხოლოდ

იქაა ნახსენები აბლაბუდა. ამ ოთხსტრიქონში კი ზამთრის სრული პეიზაჟი მოჩანს: „აბა-ჟურზე ზის, გარეთ წყნარად თოვს, რუხი ობობაა, აბლაბუდას ქსოვს“.

ყველა ლექსი რომ გავარჩიოთ, მთელი ნიგნი უნდა გადმოვწეროთ. მაგრამ ზოგიერთი ისე მიგნებულა, პატარას კი არა, მოხუცსაც აღტაცებაში მოიყვანს და ბავშვობაში დაბრუნებს: „მომლიმარი დედაჩემი დაფუსფუსებს შინ, დედიკოზე უკეთესი სხვა ვინა მყავს, ვინ? ჩამიხუტებს, გამიცინებს, დამიკოცნის პირს, მუდამ ჩემზე ზრუნავა ში, საკურავთან ზის, მზე შემოჰყავს ფანჯარაში მის წკრილად ხმას, ჩემს გულსა და ჩემს თვალბუბო სულ დედიკო ჩანს“. ანდა „ბებო რას გეუბნებოდა? – დედამ მზევინარს ჰკითხა. – ენატანია ვიქნები, ყველაფერი რომ გითხრა“. „გარღვია ნისლი და ბნელი ღამე უკუნი, მას ნამდვილად არ სცივა, მიჰყავს ხალხი გუგუნით“. კიდევ: „უჰ, რა


აბლაბუდა არც ისე ცუდი ყოფილა

აი, ნიგნი!


ხასხასა მოლია და რა მაღალი ფიჭვნარი, ტყე რადგან გიყვარს, პატარავ, ტყის მეგობარი იყავი“. კიდევ: „ბებო უთხრა ირაკლის: – მრავალძარღვა აქვია, საქართველოს ბუნება მწვანე აფთიაქია“. კიდევ: „ტურა შეძერა საქათმეში და კარები დახურა. ყურ-შამ ყური მოახია, ქურდი დადის ცალყურა“. კიდევ და კიდევ: „ბათურა“, „ინდაური“, „სოსანი“, „დიასახლისი“, „სუფთად“, „ქალი პოლიციელი“ და... რომელი ერთი ჩამოვთვალო?

ნუ მანვალბოთ, ჩემო ცუგრუმელებო. თავად ნაიკითხეთ ეს ნიგნი, ნიგნის კითხვაც ჩვევად გექცევით, მშვენიერ ლექსებსაც ისწავლით და მის ავტორსაც უფრო შეიყვარებთ.

ნაირა ნიჟარაძე



საყმაწვილო ლექსები



ბორის ბაბუა

მადლობა

გულისხმიერება არანაკლებ მკურნალია

ეს დაავადება მუდამ შიშის ზარს სცემდა ყველას, მაგრამ ირკვევა, რომ ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. ამ აზრს ავითარებდა ამას წინათ გარდაცვლილი აკადემიკოსი **ფრიდონ თოდუა**, რომელიც წერდა: სიმსივნე განაჩენი კი არ არის, არამედ განკურნებადი დაავადებაა. მეორე პროფესორი კი ამბობდა: შიშის სინდრომით მეტი პაციენტი იღუპება, ვიდრე დაავადებითო, ე. ი. ფსიქოთერაპიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. აკი რუსთაველი წერს: „წყენაო ჭირთა ბადე“, ე. ი. წყენა შიში – სევდა-ნალღელია, ჭირი კი – დაავადება.

თრგუნავს ორგანიზმის დამცავ ძალებს და განკურნების პროცესს ახანგრძლივებს.

ხოლო გულისხმიერების, გამხნეების, მხიარული განწყობილების ჰორმონები – პირიქით, აქტიურად ებრძვის ანტისხეულებს, იმუნიტეტს აძლიერებს. აკაკი ამბობს: „ხმაღზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა“.

სახელგანთქმულ აკადემიკოს **ა. ლვამიჩავას** სახელობის უნივერსალურ სამედიცინო ცენტრში მოვხვდი. მეტად გულისხმიერად მიმიღო მისმა დღევანდელმა დირექტორმა, პროფესორმა **რემა ლვამიჩავამ**. ასევე, არანაკლები მზრუნველობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ მკურნალმა ექიმმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა **ნანა ათუაშვილმა**, გამოცდილ-

გამობრძმედილმა თანამშრომლებმა **ვარდო ჭკადუამ**, **მანანა ქურულმა**, **იზო მალრაძემ**. მათ არამარტო გულისხმიერება გამოიჩინეს, რწმენა და მხნობა შემმატეს, არამედ მაღალკვალიფიციურ დონეზე მიმკურნალეს. და საიმედო შედეგიც სახეზეა. ამისთვის **ულრმესი მადლობა თქვენ, „ჰიპოკრატეს ფიცის“ ერთგულნი**, პროფესიონალო, კეთილშობილო ექიმებო, ვისაც გულთან ახლოს მიგაქვთ პაციენტის გასაჭირი.

ლადო ასათიანმა ჭლექს შეუძახა: „განვედი ჩემგან, ძლიერო სენო! ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსნის!“ მეც იგივე მინდა გავიმეორო.

ბორის მიჰველაძე, პედაგოგის დოქტორი

დიდი პედაგოგისა და მწერლის ხსოვნა

მირიან ჯალაღონიას მოსაგონარი

92 წლის ასაკში გარდაიცვალა განათლების სისტემის ღვანლმოსილი მუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, გორგასლის ორდენის და 12 მედლის კავალერი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის „ქალღა“ და „ფაზისის“ აკადემიის წამდვილი წევრი, პროფესორი **მირიან ფილიპეს ძე ჯალაღონია**.



მის ბიოგრაფიას შელამაზება არ სჭირდება. დაიბადა ჩხორონწყუს რაიონის სოფელ სარაქონში. სწავლობდა სარაქონის დაწყებით, ნაკათის არასრულ საშუალო და ჯიხაშკარის სკოლებში. გამოიარა ომის ქარცეცხლიანი დღეები. ერთი წელი იმუშავა კოლმეურნეობაში ბრიგადირად, კომკავშირის მდივნად. 1950 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტი. ასევე, დაუსწრებლად დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა გაგრაში სკოლის დირექტორად, მასწავლებლად.

1966 წელს ის ოჯახთან ერთად გადმოვიდა სოხუმში მუდმივ საცხოვრებლად. მუშაობდა ქალაქის საბჭოში, ერთდროულად პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტის ლექტორად. გამოქვეყნებული აქვს 10 ნიგნი და პუბლიცისტური წერილები.

1993 წლის სექტემბერში ის, როგორც დევნილი, თავს აფარებდა ბათუმს, სადაც კოლეგებმა დიდი სიყვარულით მიიღეს, აირჩიეს უცხო ენების ფაკულტეტის კათედრის გამგედ. იგი იყო მრავალმხრივ განვითარებული. ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობისას მუდამ ამჟღავნებდა სისპეტაკეს, სიკეთეს, სინდისიერებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნათესავეებს, მეგობრებს იმედოდ ისლა გვრჩება, რომ სახელოვანი მოქალაქისა და ღირსებით შემკულ მის წმინდა სახელს, **დროთა დინება ვერ წაშლის**.

მეგობრები და ნათესავები, გაზაით „სახალხო განათლება“-ის რედაქცია

აზრდები ყველა პედაგოგისა

ეკა მათიაშვილის ხსოვნას



წვიმისოდენი ცრემლი დაიღვარა **თბილისის 32-ე საჯარო სკოლაში**, როცა დაწყებითი კლასების მასწავლებლის **ეკა მათიაშვილის** გარდაცვალება შეიტყვეს.

32-ე საჯარო სკოლა ეკას მშობლიური სკოლა იყო. აქ აღიზარდა, შემდეგ კი, თავის თაობაში ერთ-ერთი გამორჩეული გოგონა, რომელიც გზას თავისი შრომითა და ნიჭით იკაფავდა, **ამავე სკოლას მასწავლებლად დაუბრუნდა. დედის გზას გაჰყვა.**

მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა დიდი სიყვარული მალე მოიპოვა. ეს პროფესიონალიზმმა, ტაქტმა, კაცთმოყვარეობამ და ბუნებრივად შეადგინა. **სადაც ეკა იყო იქ სიცოცხლე ჩქეფდა.** მძიმე სენმა ფიზიკურად დააძაბუნა, მაგრამ სულით ვერ გატეხა. მისგან ბევრი რამ შეიძლება დასწავ-

ლა ასაკოვან მასწავლებელსაც კი. თავის პრინციპებს არასოდეს ღალატობდა, დაჩაგრული სიმართლის ქომავობა მისი მოწოდება იყო. მეგობრების ერთგულება არავისგან ესწავლებოდა. მშვენიერ გარეგნობასთან ერთად მისთვის ბევრი ღირსება მიემადლებინა არსთა გამრიგეს. ამ ღირსებათა გამოხატულება იყო ის ფოთოლოთოდენი მოტირალი, რომლებმაც გულწრფელი ცრემლით დაიტირეს ამ სამზუოდან ნაადრევად წასული მშვენიერი ქალბატონი.

ერთადერთმა შვილმა დაკარგა არაჩვეულებრივი დედა, ძმამ – მოსიყვარულე და, ძმისშვილმა – კარგი მამიდა. მოსწავლეებმა – საუკეთესო მასწავლებელი. სკოლის პედაგოგულეტივმა კი – შესანიშნავი კოლეგა და მეგობარი.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური თბილისის მინა!

თბილისის 32-ე საჯარო სკოლის პედაგოგული

მთ. რედაქტორი ბორის მიჰველაძე

რ ე ღ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113



9 771987 911009

სახალხო განათლება+ № 17 (4556)
15 ნოემბერი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან